არგუმენტირებული ესე „მარტო წვრთნა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა?“

ადამიანის შესაძლებლობები მუდამ დაკავშირებულია ორ მთავარ ძალასთან — ბუნებრივ ნიჭთან და შრომასთან. გამოთქმა „მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამ არ უშველა?“ გვაფიქრებს, შეუძლია თუ არა მხოლოდ ვარჯიშს ბუნებრივი ნიჭის ჩანაცვლება. ერთ მხარეს დგას ბუნების საჩუქარი — თანდაყოლილი უნარი, მეორე მხარეს კი ადამიანის შრომა, სწავლა და საკუთარი ძალის გამოყენება. სწორედ ამ ორი ერთადყოფა ქმნის სრულყოფილ პიროვნებას.ბუნებამ ადამიანს სხვადასხვა ნიჭი უბოძა. ზოგს მეტის კეთება შეუძლია, ზოგს ნაკლების, მაგრამ ნიჭი თუ შრომამ არ განავითარა, ის მალე ქრება. შრომა და სწავლა ადამიანს აძლევს საშუალებას, ბუნებისგან მიღებული შესაძლებლობები სრულად გამოავლინოს.

სულხან-საბა ორბელიანი თავის თხზულებებში განსაკუთრებით უსვამს ხაზს სწავლასა და აღზრდის მნიშვნელობას. მისი აზრით, ადამიანი ბუნებით იბადება მხოლოდ შესაძლებლობებით, მაგრამ განათლება, წვრთნა და სწორად აღზრდა ამ შესაძლებლობებს რეალურ ძალად აქცევს. ამით ავტორი გვიჩვენებს, რომ ნიჭი და წარმოშობა არაფერს ნიშნავს, თუ ადამიანი არ ცდილობს ცოდნისა და ზნეობის გზით განვითარებას.

ამავე აზრს ვხვდებით აკაკი წერეთლის ნაწარმოებშიც „გამზრდელი“. ჰაჯი უსუფი იქ წარმოდგენილია როგორც იდეალური გამზრდელი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული თავის აღზრდილთან. მან აღზრდილის შეცდომის გამო მოიკლა თავი — ეს არ იყო მისი ბრალი, მაგრამ იგრძნო პასუხისმგებლობა. მის ქცევაში ჩანს უდიდესი სიყვარულიცა და ერთგულებაც, თუმცა მან ვერ გაითვალისწინა, რომ მხოლოდ აღზრდა ვერ ცვლის ადამიანის ბუნებას. სწორედ ამიტომ ჰაჯი უსუფის ტრაგედია გვახსენებს, რომ მარტო წვრთნა ვერაფერს უზამს, თუ ბუნებამ არ უშველა.ენობრივად, გამოთქმა „ბუნებამ არ უშველა“ არის მეტაფორა, რომელიც ხაზს უსვამს ბუნების „დახმარებას“ ადამიანში, ხოლო რიტორიკული კითხვა „მარტო წვრთნა რას უზამს?“ მკითხველს იწვევს დაფიქრდეს — საკმარისია თუ არა მხოლოდ ვარჯიში ადამიანის სრულყოფისთვის.

დღევანდელ საზოგადოებაშიც ეს საკითხი აქტუალურია. თანამედროვე ადამიანი წარმატებას აღწევს მაშინ, როცა ბუნებრივი ნიჭი შრომით, სწავლით და სწორი აღზრდით ავსებს. სულხან-საბა ორბელიანის აზრით, სწავლა და ზნეობრივი აღზრდა აყალიბებს ჭეშმარიტად განათლებულ პიროვნებას.ჩემი აზრით, ბუნება ადამიანს აძლევს საწყის ნაპერწკალს, მაგრამ შრომა, სწავლა და აღზრდა ამ ნაპერწკალს ცეცხლად აქცევს. მხოლოდ მათი ერთიანობა ქმნის ნამდვილ ადამიანობას და სიბრძნეს, რასაც ვერც მარტო ნიჭი და ვერც მარტო ვარჯიში ვერ შეცვლის.

ქეთი იკოშვილი